საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2011 წლის 23 მარტის

დადგენილება № 422

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (დანართი 1);
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა საბუთების მისაღებად, კონტინგენტის შესარჩევად, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის და ჩარიცხვაზე გადაწყვეტილების მისაღებად შეიქმნას შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.	იური ლომიძე	–	სწავლების დეპარტამენტის უფროსი, თავმჯდომარე;
2.	გიორგი აბრამიშვილი	–	სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე;
3.	ლალი ღოღელიანი	–	პასუხისმგებელი მდივანი;
4.	ნინო ჩორხაული	–	პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე;
5.	ხათუნა ლეჟავა	–	პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე;
6.	გიორგი ძიძიგური	–	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
7.	დენიტა ბიბილეიშვილი	–	სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
8.	ზურაბ გედენიძე	–	სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი;
9.	გია არაბიძე	–	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი;
10.	ანზორ აბშილავა	–	სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
11.	ნუგზარ წერეთელი	–	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი;
12.	ოთარ გელაშვილი	–	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი;
13.	გოჩა მიქიაშვილი	–	არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;
14.	რუსუდან ქუთათელაძე	–	ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;
15.	ზურაბ წვერაიძე	–	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;
16.	რევაზ ცნობილაძე	–	სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი;
17.	ბორის გითოლენდია	–	სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

3. კომისიამ უზრუნველყოს საბუთების მიღება არსებული წესის თანახმად, 2011 წლის 11 აპრილიდან 26 აპრილის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე, სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში (III სართული, ოთახი 350);
4. კომისიამ საბუთების მიღების, კონტინგენტის შერჩევისა და ჩარიცხვაზე გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურით" (დანართი 2);
5. პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხვა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასრულდეს 2011 წლის 4 მაისამდე;
6. ჩარიცხული სტუდენტების მონაცემები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 7 დღის ვადაში შეტანილ იქნეს სტუ-ს რეესტრში;
7. ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს საინფორმაციო ცენტრს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ;
8. სწავლა დაიწყოს 2011 წლის 16 მაისს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ვაკანსიები

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

პირველ, მეორე და მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) – შესაბამისი ფორმა გაიცემა №350 ოთახში;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დაბადების მოწმობის ასლი;

დ) საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე და ამ დოკუმენტების ნიშნების ფურცლების ასლები;

დ) 2 ფოტოსურათი (3X4 სმ) და მისი ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

პირველი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს პირველი საფეხურის პროფესიულ დიპლომთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი ან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი, მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა – მეორე საფეხურის პროფესიული დიპლომთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი ან არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო მეოთხე საფეხურებზე ჩარიცხვის მსურველმა – ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი.